პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 137 (19878) კვირა, 14 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

14 ივნისი მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით დაამთავრა მიმდინარე წლის ხუთი თვე, დიდი გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები. ზრდის ტემპმა შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით შესაბამისად 106,5 და 113,6 პროცენტი შეადგინა.

კომბინატის წინსვლაში თავი გამოიჩინა სოციალისტური შრომის გმირის, ჭარგალის ვერა ქემაშვილის კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელმაც ექვსი თვის გეგმა ხუთ თვეში შეასრულა და გეგმის გადაჭარბებით დაამზადა 30 ტონა პროდუქცია.

ცხრამეტი წლის იყო ვერა ქემაშვილი, როდესაც იგი კომბინატის მუშა გახდა, უკვე 38 წელია თავდადებით შრომობს მშობლიურ საწარმოში და თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდებს, ასწავლის და უნერგავს საქმის სიყვარულს, ვინ მოთვლის, რამდენ ქალიშვილს გაუკაფა გზა ვერა ქემაშვილმა. ამიტომაც არის, რომ მას მუდამ სიყვარულით ხვდებიან. გულისხმიერ დამრიგებელს ეს ყვავილები მისი ბრიგადის წევრებმა მიართვეს. ისინი გულითადად ულოცავენ თავისი საქმის ჩინებულ ოსტატს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ვერა ქემაშვილს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეს.

სურათზე: მრთველები ლ. ტურძელაძე, მ. ზაზაძე, ფ. გაჩეჩილაძე, რ. გულაშვილი დღესასწაულს ულოცავენ ვ. ქემაშვილს.

Ш. КРИМСКИЦ ფოტო.

გარდაქმნის ძირეული საკითხი

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 8-9 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტში გაიმართა თათბირი ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საკითხებზე, რომელებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის განსახილველად იქნება წარდგენილი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ბ. ნ. ელცინი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ნ. ვ. ტალიზინი.

თათბირზე მოწვეული იყვნენ საწარმოთა და გაერთიანებათა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, მეცნიერები, პარტიული მუშაკები.

თათბირი გახსნა მ. ს. **გორბაჩოვმა.** თვის დამკვლევ, თქვა მან, გაიმართება პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომლის დღის წესრიგშია ქვეყნის ეკონომიკის მართვის გარდაქმნის კარდინალური საკითხი. პლენუმის ამოცანაა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს ინტენსიფიკაციის ეტაპზე გამოვიყენოთ ეკონომიკის მართვის ახალი მოლიანი სისტემა. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან საქმე ეხება გარდაქმნის საბაზისო, მთავარ საკითხებს.

მინდა გამოვთქვა რამდენიმე შენიშვნა და მოვისმინო თქვენი აზრი სამ საკითხზე.

პირველი საკითხი — როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა არა მარტო ეკონომიკის სფეროში, არამედ საერთოდ საზოგადოებაშიც? თქვენ ხომ წარმოადგენთ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს და უშუალოდ ყოველდღე დაკავშირებული ხართ შრომითი კოლექტივების საქმიანობასთან. რას აკეთებენ ახლა პარტიული, საბჭოთა ორგანოები, სამინისტროები? თქვენ გაქვთ შესაძლებლობა საკუთარი პოზიციებიდან გამოთქვათ აზრი, შეაფასოთ ის, რაც ხდება გარდაქმნის ეტაპზე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ რომ დაიწყო.

მეორე საკითხი — რა აზრისა ხართ საწარმოს შესახებ კანონის პროექტზე? თქვენ მას იცნობთ, ზოგიერთი თქვენგანი კი მონაწილეობდა კიდეც საყოველთაოსახალხო განხილვაში, საჯაროდაც გამოვიდა, ზოგნი სწავლობდნენ კიდეც მას თავიანთ კოლექტივებში, პარტიულ ორგანიზაციებში. ალბათ, თავადაც გიფიქრიათ ამ დოკუმენტზე, შეგიდარებიათ იგი, ასე ვთქვათ, რეალობებთან, რომლებშიც მოქმედებს ესა თუ ის საწარმო, შრომითი კოლექტივი. ბუნებრივია, გაქვთ სათქმელი ცენტრალური კომიტეტისათვის კანონის პროექტის შესახებ. ჩვენ უნდა განვიხილოთ იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე, მიღოთ და დავამტკიცოთ უკვე კანონის სახით. როცა ჩვენი ეკონომიკის მართვის ძირეულ გარდაქმნაზე ვფიქრობთ, ბუნებრივია, რომ ეკონომიკის ძირითადი რგოლის მართვის მთლიან სისტემაში მისი მდგომარეობის საკითხი კარდინალური საკითხი ხდება.

თუ წარსულზე ვილაპარაკებთ, იქნებ, უმთავრესი ნაკლი სწორედ ის იყო, რომ ჩვენ ზემოდან ვიუწყებდით. და თითქოს ეს ლოგიკურიც არის გეგმიანი ეკონომიკისათვის. მაგრამ ამჯერად გადავწყვიტეთ ყველაფერი დავიწყოთ მთავარი რგოლიდან, რადგან, როგორც კი ხელს ვკიდებდით დაგეგმვის, მართვის საკითხების, ცენტრალური ორგანოების დონეზე განხილვას, მაშინ უკვე საწარმოს აღარაფერი რჩებოდა: ზედა რგოლებს ყველაფერი მიჰქონდათ. კარდინალური ზომები არ გამოდიოდა. საწარმოებამდე ახალი დებულებები, რეკომენდაციები სანახევროო, შეკვეცილი სახით მიდიოდა, და ვერა და ვერ მოვახერხეთ ეს პროცესი ნამდვილად გაგვეშალა და გონივრულ, ლოგიკურ დასასრულამდე მიგვიყვანა. ამიტომ არც სამოცდან და არც სამოცდაათიან წლებში რეფორმასა და ეკონომიკის მართვის სრულყოფის ჩვენს ღონისძიებებს სრული ეფექტი არ მოჰყოლია.

ახლა დავიწყეთ მოძრაობა საწყისი პუნქტიდან — საწარმოთი, გაერთიანებით. უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიფიქროთ და მოვნახოთ პარამეტრები, რომლებიც ძირითად რგოლს — საწარმოს, გაერთიანებას შესაძლებლობას მისცემენ აამოქმედონ სოციალისტური ეკონომიკის, მეურნეობრობის ჩვენი სისტემის, შრომითი კოლექტივის პოტენციალი. და ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თქვენი აზრი, ამ დოკუმენტის თქვენეული შეფასება.

ამასთანავე, როცა ასე ვაყენებთ საკითხს, გვესმის, რომ თუ კანონს მოვწყვეტთ საწარმოსა და ჩვენი ეკონომიკის მართვის მთლიანი სისტემის შემადგენელ სხვა ელემენტებს, ეს საწარმოს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს, იგი ვერ შეძლებს ყველა შესაძლებლობის გამოყენებას და მეურნეობრობის ახალ მეთოდებზე — უწინარეს ყოვლისა, სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებზე გადასვლას. ამიტომ კანონზე მუშაობა წარმოებდა ეკონომიკის მართვის ზედა ეშელონების ძირეული გარდაქმნის თანადროულად. ეს ეხება მთავრობის ორგანოებსა და ეკონომიკურ უწყებებსაც, რომელთა როლი ძალიან დიდია. ცენტრის ახალი როლის გააზრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო იმის გამორკვევა, თუ როგორი უნდა იყოს სამინისტრო — დარგის შტაბი.

ახლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ეკონომიკის მართვის ცენტრალური ორგანოების სრულყოფის პრაქტიკულად ყველა მიმართულება განიხილა. უნდა გითხრათ, რომ ეს არცთუ ისე იოლი საქმეა — ცხარე დისკუსიები მიმდინარეობს ყველა დონეზე. და ეს სავსებით ნორმალურია, რადგან ახლა ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ დიდი საკითხები და, რა თქმა უნდა, ყველაფერზე უკეთესია გადავწყვიტოთ ისინი ნაკლები დანაკარგებით.

მაშ ასე, მესამე საკითხი — როგორ წარმოგიდგენიათ მართვის ცენტრალური ორგანოების როლი? აი სამი პრობლემა, რომელებზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ. ვინაიდან საწარმოს შესახებ კანონი მომავალი წლის იანვრიდან ამოქმედდება, ცხადია, რომ ცენტრალური ორგანებიც უნდა გადავიყვანოთ მუშაობის ახალ პირობებზე. მაშასადამე, ამოცანა ის არის, რომ მთელი სამზადისი წლეულს დავასრულოთ.

ჩვენ განვიხილეთ დადგენილებათა პროექტები ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, მაგრამ გადაწყვეტილებები არ მიგვიღია, ისინი საბოლოოდ არ დაგვიმტკიცებია — ვიძლევოდით მათი ბოლომდე დამუშავების დავალებებს განხილვის შედეგების გათვალისწინებით. ამ საკითხებზე ვიმუშავებთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზეც. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ კანონის საბოლოო დამტკიცების შემდეგ საჭიროა ერთმანეთს შევუხამთოთ ყველა დადგენილება და მივიღოთ ისინი.

აი ჩვენი ჩანაფიქრი. რეფორმა სერიოზული, მასშტაბური საქმეა. ეს წიგნის გადაფურცვლა, ან ერთი დღის მოთავება როდია. ეტაპები უნდა გაიაროთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ მიზნებს, რომელთა საძირკველს ახლა ვყრით. იმაზე, თუ რა იდეებით მივადგებით, რა დოკუმენტებით დავიწყებთ ამ თავდაპირველ ეტაპს, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

საკითხებს, რომელსაც დღეს განვიხილავთ, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამ გარდატეხის ჟამს პარტიამ თავისი სიტყვა უნდა თქვას. ადამიანები ახლა ეძებენ, როგორ გააუმჯობესონ ჩვენი სამეურნეო მექანიზმის მუშაობა, როგორ განავითარონ შემდგომ სოციალისტური დემოკრატია, პოლიტიკური სისტემა. ჩვენ ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, გვჭირდება ყველა ამ პრობლემის დემოკრატიული განხილვა, ხალხის შემოქმედება.

ეკონომიკის მართვის გარდაქმნის ძირითად მამართულებათა შესახებ ინფორმაცია გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ნ. ნ. სლიუნკოვმა.**

ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის, პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, თქვა მან, ქვეყანაში მიღებულია და ხორციელდება ჩვენი საზოგადოების განვითარების დაჩქარების დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები. შემოვადა და ხორციელდება ახალი სტრუქტურულ-საინვესტიციო პოლიტიკა. ძალები და სახსრები ძირითადად ხმარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების ძირითად მიმართულებებს. მოკლე პერიოდში მოიწყო ახალი ეკონომიკური მეთოდების ექსპერიმენტული შემოწმება. მეურნეობის მთელი რიგი დარგების საწარმოები სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადავიდნენ. მაგრამ რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნები ჯერ არ მომხდარა.

ეკონომიკაში კვლავ მოქმედებს ხარჯვითი მექანიზმი მთლიანი მაჩვენებლების შენარჩუნებით. იგი ბუნებრივად აძლევს სტიმულს ხარჯების გაზრდას — რაც უფრო დიდია ხარჯები, მით უფრო მეტია მოცულობაც. მეურნეობრობის არაეფექტიან გაძღოლას განსაზღვრავს საწარმოების უპირატესობა მომხმარებელთან შედარებით. ეს, თავის მხრივ, ქმნის დეფიციტურობის სახალხო მეურნეობაში, ვინაიდან წარმოება არ ექვემდებარება მომხმარებლის მოთხოვნილებებს და მას არჩევანი კი არა აქვს, არამედ რასაც აძლევენ, ის უნდა აიღოს. ყოველივე ამას უსარგებლო და ხშირად უხარისხო პროდუქციის გამოშვება მოსდევს. დიდი ხარჯიანობის შენარჩუნებას ხელს უწყობს უნაცვალგებო კაპიტალური დაბანდებანი, სავალუტო ფონდები. და ეს ყველაფერი ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე ხდება.

უზარმაზარი დოტაციები, კრედიტების მასობრივი დაუბრუნებლობა მათი დაბალი პროცენტების პირობებში, აგრეთვე მოქმედი ფასები ხელს უწყობს რესურსების უეფექტო გამოყენებას. სათბობისა და ნედლეულის ფასები მსოფლიო ფასებზე ერთნახევარსამჯერ ნაკლებია. მეორე მხრივ, სასურსათო პროდუქტების ფასები საშუალოდ ერთიორად ნაკლებია მათი წარმოების ხარჯებზე. არ არის უშუალო კავშირი დანახარჯების შემცირებას, მეურნეობრობის ეფექტიანობასა და შრომითი კოლექტივის მატერიალურ ანაზღაურებას შორის. მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები საქმით არ არიან რესურსების ნამდვილი პატრონები და მათ ისე ეკიდებიან, როგორც არავისას. ისინი სუსტად არიან ჩაბმული მართვაში და თავს საერთო საქმის თანასწორუფლებიან მონაწილეებად ვერ გრძნობენ.

ითმასთვის, რომ ბოლომდე დავძლიოთ ხარჯვითი მექანიზმი, მოკლე ვადაში და კომპლექსურად უნდა დავასრულოთ გადასვლა ეკონომიკის, მართვის მთლიან სისტემაზე. მთავარი ის არის, რომ მოვახდინოთ ოპტიმალური თანაფარდობა ცენტრალიზებულ დაგეგმვასა და საწარმოს დამოუკიდებლობას შორის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალმა პლენუმმა უნდა განიხილოს და შეიმუშაოს ქვეყნის ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებები. წამოყენებულია წინადადება, რომ მართვის გარდაქმნა დავიწყოთ საწარმოს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფით.

საწარმოთა ახალი ეკონომიკური მექანიზმის შექმნის მთავარი ამოცანაა მათი დამოუკიდებლობის გადიდება, სრული სამეურნეო ანგარიშისა და ფართო თვითმმართველობის საფუძველზე მეურნეობრობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება.

ზემოდან დაშვებული, მისი ყველა ნაბიჯის მარეგლამენტებელი საგეგმო დავალებების მარტოდენ შემსრულებლიდან საწარმო დაგეგმვის აქტიურ სუბიექტად იქცევა. სამინისტრო კი აღარ განსაზღვრავს და წარმართავს წინასწარი ბრძანებებით მთელ საწარმოო პროგრამას, არამედ საწარმო. იგი იხელმძღვანელებს ტარიფებით, სახელმწიფო შეკვეთებით, საკონტროლო ციფრებით. საკონტროლო ციფრები აღარ იქნება დირექტიული მაჩვენებლები და აღარ შეზღუდავს საწარმოთა ინიციატივას სამეურნეო გადაწყვეტილებათა არჩევაში. სახელმწიფო შეკვეთების, მომხმარებელთა უშუალო შეკვეთების, გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების, საკონტროლო ციფრებისა და ლიმიტების გათვალისწინებით საწარმო დამოუკიდებლად ადგენს და ამტკიცებს თავის ხუთწლიან გეგმას.

მაგრამ უფლებები ვალდებულებების გარეშე არ არსებობს. საწარმო სახელმწიფოს სარჩენი არ უნდა იყოს. უფრო მეტიც, თავისი საქმიანობის შედეგად გამმუშავებული სახსრების ხარჯზე იგი არა მარტო საკუთარ თავს, არამედ სახელმწიფოსაც უნდა ინახავდეს.

სწორედ ეს განპირობებს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპები. ეფექტიანი ვერ არის სამინისტროს საქმიანობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგშიც, რასაც მოჰყვა სწორედ მთელი რიგი დარგების მეცნიერულ-ტექნიკური ღონის სისტემა შესაბამისი ჩამორჩენა უმაღლესი მსოფლიო დონისაგან. სამინისტროები სუსტად მუშაობენ საწარმოთა ზარალიანობის ლიკვიდაციისათვის. ამ მთავარი საკითხების ნაცვლად დარგების შტატები თითქმის მთლიანად გაერთიანებების ოპერატიული ხელმძღვანელობით არიან დასაქმებული, ადმინისტრაციული მეთოდებით ერევიან მათ სამეურნეო საქმიანობაში, რაც გახდა კიდეც საქვეუწყებო საწარმოთა მუშაობის დაბალი ეფექტიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი.

სამინისტროთა საქმიანობის ძირეული გაუმჯობესების მიზნით წამოყენებულია წინადადება გავთავისუფლოთ ისინი საწარმოთა ოპერატიული მართვის ფუნქციებისაგან, შევწყვიტოთ დიდეფექტიანი საწარმოებისაგან ნაკლებეფექტიან, ზარალიან საწარმოებზე სახსრების გადანაწილების მანკიერი პრაქტიკა. სამინისტროები საქმით უნდა გახდნენ დარგების მეცნიერულ-ტექნიკური და საგეგმო-ეკონომიკური შტაბები. ისინი მოვალენი არიან პასუხი აგონ ქვეყნის წინაშე დარგის პროდუქციაზე პირსპექტიულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, არ დაუშვან დისპროპორციები, უზრუნველყონ მოწინავე მსოფლიო დონეზე წარმოების ტექნოლოგიის, პროდუქციის ხარისხის გასვლა. მათი ამოცანაა ეფექტიანად აწარმოონ მუშაობა გაღრმავებული სპეციალიზაციისა და კოოპერაციის, წარმოების უფრო სრულყოფილი ორგანიზაციისა და სტრუქტურის საფუძველზე.

საჭიროა გავაძლიერონ სამინისტროების აქტიურობა საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში, კადრების მომზადებაში, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. სამინისტროების ახალი ამოცანები და ფუნქციები მოითხოვს მათი აპარატის შემცირებასა და სტრუქტურის გამარტივებას. მისი სამეცნიერო-ტექნიკური და საგეგმო-ეკონომიკური ქვეგანყოფების განმტკიცებას და აპარატის იმ ნაწილის ლიკვიდაციას, რომელიც ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციებს ასრულებს. აპარატმა უნდა აითვისოს ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდები, მიიღწიოს სტილის დემოკრატიზაციას, გაზარდოს საჯაროობა მუშაობაში.

სამეურნეო მექანიზმში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად გარდაიქმნება ეკონომიკური უწყებების — სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახელმთავრო, ფინანსთა სამინისტროს, ბანკების, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაც. მათი გარდაქმნის მთავარი მიმართულებაა ხელმძღვანელობის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა.

დაგეგმვაში საწარმოთა როლისა და პასუხისმგებლობის მკვეთრი გაძლიერება რეალურ პირობებს ქმნის საიმისოდ, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მართლაც გახდეს ქვეყნის ეკონომიკური შტაბი. მან ძირითადი მეცადინეობა უნდა მოახმაროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმიანი ხელმძღვანელობის სტრატეგიულ მიმართულებებს, უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო პროპორციათა ფორმირებას, მთავარი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების რეალიზაციას, სტრუქტურული საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფას, სახალხო მეურნეობის შეწონასწორების უზრუნველყოფას.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობაში უპირველესი უნდა გახდეს სამეურნეო მექანიზმის მოქმედი დახვეწა, საწარმოთა ეფექტიანი მუშაობის ეკონომიკური წანამძღვრების შექმნა, დასაბუთებული ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების შემოშვება, რომელებიც უზრუნველყოფენ საერთო-სახელმწიფო ინტერესებთან საწარმოთა სამეურნეოანგარიშიანი ინტერესების მჭიდრო დაკავშირებას.

სერიოზულად უნდა გავაუმჯობესოთ მეცნიერებისა და ტექნიკის დაგეგმვა, აგრეთვე მისი მიღწევების გამოყენება. საამისოდ წამოყენებულია წინადადება, რომ გამოვიყენოთ როგორც მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა უსწრაფესი მასშტაბური დანერგვის მასტიმულირებელი ეკონომიკური თვითდაფინანსებასა და თვითნახლაურობაზე გადასვლა გამოფიზლებს მყიდველს. ხოლო ვინაიდან ჩვენ ერთსა და იმავე დროს მწარმოებლის როლსაც ვასრულებთ და მყიდველის როლსაც, დღეს, ახალ პირობებში, თავისი ფულით არავინ იყიდის ზედმეტს. ხოლო საქონლის ის მასა, რომელსაც ჩვენ ვქმნით, საფასებით საკმარისია იმისათვის, რომ შეუფერხებლად ვმუშაობდეთ.

მ. ს. გორბაჩოვი: ბევრი ამბობს, დეფიციტს დავძლევთ და საბითუმო ვაჭრობაზეც მაშინ გადავალთო. არადა, ჩვენ მნიშვნელოვანწილად სწორედ საბითუმო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემა უნდა გარდავქმნათ და შევუსაბამოთ მეურნეობრობის ახალ პირობებს საწარმოთა დამოუკიდებლობის გაზრდის გათვალისწინებით. პრიორიტეტი მიენიჭება წარმოების საშუალებების საბითუმო ვაჭრობაზე ეტიპობრივი გადასვლის მეშვეობით რესურსების განაწილების ეკონომიკურ ფორმებს. იგი უნდა გახდეს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი ფორმა.

დასახული ფასების რეფორმის მოწყობა, რომლის დროს უნდა უზრუნველყოთ საბითუმო, შესასყიდი, საცალო ფასებისა და ტარიფების ორგანული კავშირი. გათვალისწინებულია ძირეულად შეივცვალოთ ფასების ფორმირების პრაქტიკა, თანამიმდევრულად ავსახოთ ფასებით საზოგადოებრივად საჭირო ხარჯები, გავაძლიეროთ მათი მასტიმულირებელი ზემოქმედება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, პროდუქციის განახლებაზე, მისი ხარისხის გაუმჯობესებაზე. უაღრესად საჭიროა ხარჯსაწინააღმდეგო ხასიათი მივანიჭოთ ფასწარმოქმნას. გაიზრდება ფასების როლი საეგმო პროპორციების ფორმირებაში, ეკონომიკის პროგრესული ძვრების განხორციელებაში, სოციალური პოლიტიკის რეალიზაციაში.

ახალი მიდგომები ფინანსებისა და კრედიტის დარგში, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს საწარმოოა მუშაობის სამეურნეოანგარიშიანი პირობების შექმნას, ფულადი დაგროვებების გადიდებით მათი დაინტერესების გაძლიერებას. ფინანსური მექანიზმი მთლიანად უნდა ემყარებოდეს გრძელვადიან, სტაბილურ ნორმატივებსა და ნორმებს. ეს საწარმოებს საშუალებას მისცემს ზემოდან ჩაურევლად აშენონ თავიანთი ფინანსური ბაზა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადასაწყვეტად.

ბანკები საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის აქტიური მონაწილენი, მათი დაინტერესებული პარტნიორები უნდა გახდნენ. საწარმოები ეფექტიანად უნდა იყენებდნენ და დროულად აბრუნებდნენ კრედიტებს. შეუწყნარებელია შემდგომში კრედიტების გამოყენება ფინანსური გარღვევების ან სამეურნეო საქმიანობაში დაშვებული შეცდომების დასაფარავად.

ახალი ამოცანები ისახება შრომის მართვის სფეროში. უნდა შეიქმნას ეფექტიანი დასაქმების, შრომითი მოწყობის, გამოთავისუფლების შეცვლის სისტემა.

შემდეგ გამოვიდნენ თათბირის მონაწილენი.

პარტიის XXVII ყრილობისა და, განსაკუთრებით, ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ ჩვენ ვიგრძენით, რომ გარდაქმნა მომწიფებული აუცილებლობაა, თქვა ლენინგრადელ გიორთიანება „ელექტრომაღლის“ გენერალურმა დირექტორმა **ბ. ი. ფომინმა.** მისი პირველი გამოვლენებანი უწინარესად დემოკრატიზაციის ნიშნებში გამოსჩენია. უდავოდ სწორია, ბოლო უნდა მოვუღოთ ისეთ პრაქტიკას, როდესაც ვიღაც გავალდებულებს, რა უნდა თქვა და რა უნდა გააკეთო. აქ უნდა ხელმძღვანელობდე არა ადმინისტრაციული მითითებებით, არამედ ეკონომიკის მოთხოვნებით, იმ კოლექტივის მისწრაფებებით, რომელშიც შენ მუშაობ. მაგრამ ქვაკუთხედი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს სახელმწიფო ინტერესები. ეკონომიკური სფეროს გარდაქმნას განამტკიცებს დემოკრატიზაციის პროცესი, ხოლო დემოკრატიზაცია, თავის მხრივ, ხელშემწყობ პირობებს უქმნის შრომითს კოლექტივებში თვითმმართველობის დამკვიდრებას და ეკონომიკის განვითარებას.

შეეხო რა დაგეგმვის სრულყოფის საკითხებს, ორატორმა აღნიშნა, რომ ამჟამად იგი მეტისმეტად არის ცენტრალიზებული და წარმოებს ძალზე ბევრი მაჩვენებლის მიხედვით, გეგმის ფორმირების სისტემა მოუქნელი და მრავალსაფეხურიანია. გეგმის შედგენა, მისი აზრით, უნდა წარმოებდეს უშუალო ხელმძღვანელობათა საფუძველზე.

ბ. ი. ფომინმა ილაპარაკა რესურსების განაწილების პრობლემებზე და გამოთქვა აზრი, რომ თვითდაფინანსებასა და თვითნახლაურობაზე გადასვლა გამოფიზლებს მყიდველს. ხოლო ვინაიდან ჩვენ ერთსა და იმავე დროს მწარმოებლის როლსაც ვასრულებთ და მყიდველის როლსაც, დღეს, ახალ პირობებში, თავისი ფულით არავინ იყიდის ზედმეტს. ხოლო საქონლის ის მასა, რომელსაც ჩვენ ვქმნით, საფასებით საკმარისია იმისათვის, რომ შეუფერხებლად ვმუშაობდეთ.

მ. ს. გორბაჩოვი: ბევრი ამბობს, დეფიციტს დავძლევთ და საბითუმო ვაჭრობაზეც მაშინ გადავალთო. არადა, ჩვენ მნიშვნელოვანწილად სწორედ საბითუმო ვაჭრობის მეშვეობით უნდა დავძლიოთ იგი. საკმარისია თვითდაფინანსებაზე, თვითნაზღაურობაზე გადავიდნენ, რომ მაშინვე აკლებულობს ტექნიკის შეძენები. მაგრამ ფაქტები სტაფროპოლის მხარის პრაქტიკიდან. როგორც კი კაზანსკის კოლმეურნეობაში კოლექტიურ იჯარაზე გადავიდნენ, სანახევროდ შემცირდა მექანიზატორთა რაოდენობა. მესამედით, ის კი არა, სანახევროდაც იკლო მოთხოვნილებამ ტექნიკაზე. თუ ვინმეს ჰგონია, რომ საჭიროა თავდაპირველად აღმოვფხვრათ დეფიციტი, და შემდეგ დავიწყოთ საბითუმო ვაჭრობა, ასე ვერასდროს ვერ გადავწყვეტთ საკითხს.

რეპლიკა: მიხეილ სერგის ძეს! განაცხადები გვიჩვენებს: სოფლის მეურნეობა კომბაინების 30 პროცენტს არ იღებს.

მ. ს. გორბაჩოვი: თავიანთ ფულს იხდიან და იმიტომ.

ქვეყანაში ნაირ-ნაირი აბრებით შეიქმნა უამრავი ორგანიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საკონსტრუქტორო ბიურო და მთელი წარმოებანი, რომლებიც არსებითად არ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, განაგრძო **ბ. ი. ფომინმა.** ისინი უკვე დღეს აღარ სჭირდება აღარავის, მაგრამ მაინც განაგრძობენ რაღაცის კეთებას. ორატორმა წინადადება წამოაყენა მოეწყოს მათი ატესტაცია.

შემდეგ ბ. ი. ფომინმა ილაპარაკა ეკონომიკის მართვის ახალ სისტემაში სამინისტროთა როლის საკითხზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა სამინისტროები ყველაფრისთვის აგებენ პასუხს. ისინი ისეთ პირობებში არიან ჩაყენებული, როდესაც მზად უნდა იყვნენ პასუხი გასცენ ნებისმიერ კონკრეტულ კითხვას, რომელიც ყოველი საწარმოს სამეურნეო საქმიანობას შეეხება. ამან ჩაითრია სამინისტროს აპარატი ათასგვარი ცნობების, გაუთავებელი თათბირების, კოლეგიის სხდომების მორევში. დარგების შტაბები უნდა განთავისუფლდნენ ყოველგვარი წვრილმანის გამო საწარმოთა საქმეებში ჩარევისაგან და მოიცალონ მთავარი საქმისათვის — საგეგმო-ეკონომიკური და ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის.

გამოთქვა რა თავისი დამოკიდებულება სახელმწიფო საწარმოს კანონპროექტისადმი, ბ. ი. ფომინმა გაიხსენა, რომ თავის დროზე დიდხანს წარმოებდა გაერთიანებათა დებულების განხილვა. მაგრამ დამტკიცების შემდეგ იმდენი განკარგულება, მითითება და ბრძანება დაერთო, რომ პრაქტიკულად ვეღარ მოქმედებს. ეს გაკვეთილი უნდა გავითვალისწინოთ ახლა, როდესაც საწარმოს კანონს მისაღებად ვემზადებით. ისე უნდა ვქნათ, რომ ვერავინ დაარღვიოს იგი.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების შესახებ ილაპარაკა **ვ. ა. მოსკალენკომ** — სუმის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის მანქანათსამშენებლო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილემ. მან თქვა, რომ საჭიროა შეიქმნას ეკონომიკური პირობები, რომლებიც გაძლიერებდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას და დაინტერესებს შრომის საუკეთესო შედეგების მიღწევათ.

თვითდაფინანსება, აღნიშნა მან, ძალზე კარგი ეკონომიკური მეთოდია. თუ მას დავნერგავთ, უსათუოდ მივიღებთ დიდ უკუგებას. მაგრამ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ზოგიერთი სამინისტრო ისე გადავიდა ახალ პირობებზე, რომ არ შეუქმნია ეკონომიკური ნორმატივების დასაბუთებული სისტემა.

არ უნდა ვამბობდეთ, რომ ჩვენ მოვაგვარეთ თვითდაფინანსების მექანიზმი, თუ გამომუშავებული მაინც მეორადია, ხოლო პირველადია დაგეგმვა და მომარაგება. ჩვენს გაერთიანებაშიც კი, რომელიც მესამე წელია მუშაობს ამ მეთოდით, თვის ბოლოს ყოველთვის წელზე ფეს ვიდგამთ ხოლმე „გადასარჩენად“. იგი ფატბრივად რჩება შეფასების მაჩვენებლად. სწორედ ამიტომ არის, რომ, საბუთაროდ, ახლაც სამინისტრო მხოლოდ საქონლის მიხედვით აფასებს კოლექტივის მუშაობას.

მ. ს. გორბაჩოვი: სასაქონლო პროდუქციის მიხედვით გეგმა შეგისრულებიათ, ხელმეკოულებები კი ჩაშალეს. ჰოდა, დაირღვა წონასწორობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. მოდით, ვიფიქროთ შეფასების ახალი კრიტერიუმი გორდაქმნის, სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსების პრინციპებზე გადასვლის გათვალისწინებით. პარტიული, საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოები, ყველანი, ვინც აფასებს, ასევე უნდა გარდაიქმნან. თან, რაც უფრო მალე გარდაიქმნებიან, მით უკეთესი.

(გაგრძელება 3ე-2 გვ.).

დარგის გადაუდებელი ამოცანა

თბილისში გაიმართა მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა ბ. ზ. მაყაშვილმა. აღინიშნა, რ

გარდაქმნის ძირეული საკითხი

(გაგრძელება)

შეეხო რა საწარმოს შესახებ კანონის დებულებებს, ვ. პ. მოსკალენკომ თქვა, რომ არ ეთანხმება შეხედულებებს, რომლებიც ამ დოკუმენტის თაობაზე გამოთქვა ვოლგის. საავტომობილო ქარხნის ზოგიერთმა მუშაკმა.

მ. ს. გორბაჩოვი: კარგი იქნებოდა, რომ დაგეწერათ ამის შესახებ, შეგეფასებინათ ეს დოკუმენტი როგორც ეკონომისტს. უნდა მივცეთ ადამიანებს შესაძლებლობა შეაჯერონ სხვადასხვა თვალსაზრისი და გამოარჩიონ საუკეთესო ვარიანტები. იოლი სა-თქმელია: შეწყვიტეთ დისკუსიებიო. შეეწყვიტეთ. მერედა რა? უკან დავბრუნდით. ყველანი ვდუმვართ. ყველაფერი რიგზეა, ტრიბუნებზე „ვაშას“ გრიალია, ქვეყანაში კი საქმეს საშველი არ ადგება. ამიტომ არის საჭირო დაუფარავად ითქვას ყოველივე, თუმცა მომაჩნია, რომ დისკუსიების კულტურა ასამაღლებელი გვაქვს. და არ არის საჭირო ცენტრალურ კომიტეტში წარამარა ჩივილი, როგორც წინათ. არის რედაქტორი, არის პოლიტიკური გეზი, არის პრინციპები, არის მოთხოვნები, არის კრიტერიუმები — სოციალიზმისათვის, გარდაქმნისათვის, ხალხის ინტერესებისათვის, და არა სოციალიზმის წინააღმდეგ. არა ხალხის წინააღმდეგ — სწორედ ამით უნდა ვხელმძღვანელობდეთ დისკუსიებში, ჟურნალების მუშაობაში.

შემდეგ ვ. პ. მოსკალენკო შეეხო კადრების მომზადების საკითხებს. მან აღნიშნა, რომ მეურნეობის ახალ მეთოდებზე წარამატებით გადასვლისათვის საჭიროა ყოველმაირად სრულყოფთ ხელმძღვანელი კადრების ეკონომიკური სწავლება. ადამიანებს უნდა შევუქმნათ პირობები ცოდნის შესავსებად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ნამდვილად ესწრაფვიან ამას. მაგრამ, გარდა ამისა, ხომ არიან ისეთებიც, რომლებიც, მეტი რომ არა ვთქვათ რა, უნიათოდ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. მათ შორის, მუშები, კონსტრუქტორები, ეკონომისტები, სპეციალისტები. უნდა მოვიფიქროთ ზემოქმედების ღონისძიებანი, რომლებიც ჭკუაზე მოიყვანენ ასეთ უნიათო მუშაკებს.

მ. ს. გორბაჩოვი: შრომის კანონმდებლობაც ასეეა უნდა შეეუსაბამოთ სამეურნეო ანგარიშზე მოქმედი საწარმოს მუშაობის პირობებს.

დასასრულ ვ. პ. მოსკალენკომ წიხადადება წამოაყენა დაიწესონ სპეციალური ნორმატივი, რომელიც გახსაზღვრავდა საწარმოთა მიერ გამოშვებული სახსრების ადგილობრივ ბიუჯეტებში გადასაირიცხ თანხას.

გარდაქმნა მიმდინარეობს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგი ისეთი ტემპით წარმოებს, რომელიც დაგეკმაყოფილებდა, თქვა ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილემ **ა. ი. ბუეინსკიმ.** წარმოების დემოკრატიზაცია, ხელმძღვანელთა არჩევითობა — საგულისხმო ნიშნებია იმ გამაჯანსაღებელი პროცესისა, ახლა რომ მიმდინარეობს ეკონომიკაში. სამეურნეო ანგარიში და დემოკრატიზაცია — ეი საამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ერთადერთი სწორი მიმართულებანი.

ორატორმა აღნიშნა თვითდაფინანსების სისტემათა დახვეწის უაღრესი სირთულე. კერძოდ, ბევრმა სამინისტრომ და საწარმომ ხუთწლიანი გეგმით სამყოფზე ნაკლები კაპიტალური დაბანდება მიიღო. წინათ ამ ნაკლს ასწორებდნენ წლიური გეგმების კორექტირების გზით, ხელახლა ანაწილებდნენ რესურსებს. ახლა ასეთი გზა მოქმედი აქვთ. ეს საკითხი მოსაგვარებელია. მაგალითად, ჩვენ მთელ კაპიტალურ მშენებლობას, მათ შორის, ახალი ქარხნებისას, საკუთარი სახსრებით ვეწევით. ბიუჯეტიდან კაპიკაც არ ვიღებთ. მაგრამ ვინაიდან ნორმატივების გაანგარიშება წარმოებდა დამტკიცებული ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე, ისე გამოდიოდა, რომ, თუ საწარმოს კაპიტალური მშენებლობა არ ჰქონდა, მოგების ანარიცხებიც მცირე იყო. მეორეს, პირიქით, მოგების 80-მდე პროცენტი რჩება.

მ. ს. გორბაჩოვი: ალექსანდრე ივანეს ძეო, თქვენ ალბათ, ვერ ჩასწვდით იმ აზრს, თუ როგორ უნდა განაწილდეს მოგება. მოდით, გადასახდელებს მოგების საფუძველზე კი ნუ განვსაზღვრავთ, არამედ მოგებადან ვიხადოთ რესურსებისათვის. შრომითი რესურსებისათვის, ფონდებისათვის, წყლისათვის, მიწისათვის. თუ გვგმას მეტი რესურსების ხარჯვის წყალობით ასრულებ, — მაშინ მეტიც იხადე, ნაკლებს ხარჯავ — შენვი წაგადგება, ნაკლებს გადაუხდი სახელმწიფოს. თუ მოგების გეგმა ვერ შეასრულე — სულ ერთია, გადაიხადე რესურსებისა. სხვათა შორის, რესურსების საფასური — ეს ხომ სასურსათო გადასახადის იდეაა. მოგცეს ჰექტარი, ორი ჰექტარი მოგცეს — იხადე ყოველი ჰექტარისათვის, დანარჩენი კი სულ შენია.

ახლა ჩვენ გარდამავალი პერიოდი გვაქვს, განაგრძო ა. ი. ბუეინსკიმ. შეგვიძლია ზოგი რამ გამოვასწოროთ. მაგრამ მთელი სისტემა მეცამეტი ხუთწლედისათვის მოგვარებული უნდა გვქონდეს. საამისოდ დრო თითქმის აღარ დაგვრჩა, მოხედვას ვერ მოასწრებ, და მეცამეტე ხუთწლედიც მოგადგება. ახალი სამეურნეო მექანიზმი ამუშავდება და იმუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთნაირი იქნება ყველასათვის, მართვის სულ უმაღლესი ორგანოებით დაწყებული.

აი, ჩვენ, მთელი სამინისტროო თვითდაფინანსებაზე ვართ. მაგრამ ჩვენ გვთხოვენ: მოიტა საქონელი, მოიტა სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადების რაოდენობა, მოიტა რიცხვულ-პროგრამული მართვის დანერგილი ჩარხების რაოდენობა, და როცა ყველაფერი გამოვიანგარიშეთ, აღმოჩნდა, რომ 1986 წლისათვის დაგეგმილი გვქონია 1670 სხვადასხვა მაჩვენებელი. ყველა დამტკიცებული, ხელმოწერილი და დაგზავნილია.

მე ის მინდა ვთქვა, რომ სანამ ეს არ მოიშლება, საქმეს საშველი ვერ დაადგება. ხომ არის მაჩვენებელი, რომელიც ყველაფერს გადაფარავს — სახელშეკრულებო მიწოდების გეგმის შესრულება.

არის ერთი საკითხი, რომელსაც მე არ ვეთანხმები. ეს გახლავთ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა ნორმატიული დაგეგმვა. არ არის ეს საჭირო. ხომ გვაქვს ხელფასის ნორმატივი, მაშ რისი მაქნისია კიდევ ეს ნორმატივი? დაიწესეთ ეს ნორმატივები სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებს, დაწესებულებებს, მაგრამ არა — საწარმოებს, რომლებიც ხელფასის ფონდს ნორმატივის მიხედვით ქმნიან. კანონპროექტით გათვალისწინებულია საწარმოთა უფლება — თავიანთი შეხედულებისამებრ გაყიდონ ზეგეგმითი პროდუქცია. ჩვენ ალბათ, ჯეროვნად ვერ ვაფასებთ ამ შესაძლებლობას. ეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ისეთი მძლავრი და ძლიერი ბერკეტი იქნება, რომელზეც ჩვენ ახლა ნაკლებად ვფიქრობთ.

შეეხო რა ხუთწლიანი გეგმების ფორმირებას, **ი. ა. პეს კოვმა** — როსტოვის „სოფლმანქანის“ საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა — დასაკვნა: საჭიროა დიფერენციირებული მიდგომა ნორმატივებისადმი.

გარდაქმნა ჯერ არ შეხებია საბანკო სისტემას. სწორედ აქედან მოდის ნაირ-ნაირი სანქციები, რომლებიც პირდაპირ ცარიელტარიელს ტოვებენ საწარმოს, ტექნიკურ განახლებას რომ ახორციელებს.

ფასწარმოქმნაზე მოგახსენებთ. აგრომრეწვმა დაგვისახა ამოცანა შეექმნათ ისეთი კომბაინი, როგორიც საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს შეესაბამება. შემდეგ მუშაობის პროცესში გაჩნდა მეორე ამოცანა — შეექმნათ არა ერთი კომბაინი, არამედ მანქანების სერია, რომლებიც გადაწყვეტდნენ ყველა სახეობის კულტურების მოსავლის აღების საკითხებს. მაგრამ „ღონე“ კომბაინის რენტაბელობა გამოვიდა მინუს 1,5 პროცენტი, ანუ მანქანა საბაზარლო გამოდგა. გაერთიანებამ თვითღირებულების 17 მილიონი მანეთი დაკარგა და სავალალო საფინანსო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

რაც შეეხება საინვესტიციო პოლიტიკას, მიმაჩნია, რომ თვითდაფინანსების პირობებში ზუსტად უნდა იყოს გამიჯნული ის, რაც საკუთარი სახსრების ხარჯზე უნდა ვაკეთოთ, და ის, რაც სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხარჯზე გაკეთდება.

ჩემი აზრით, სამშენებლო ბანკი უნდა დაეხმაროს საწარმოებს კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების საკითხთა გადაწყვეტაში. და არამც და არამც არ ჩაყოს ცხვირი ტექნოლოგიის საკითხებში. ახლა ბოგახსენებთ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შესახებ. რა თქმა უნდა, როგორც პერსპექტივა, მაღალი ბიზნეს მეშვეობით საქმის გაძღოლის იდეა არ არის ურიგო. მაგრამ მიმაჩნია, რომ ახლა ჩვენ უნდა მოგვეცენ შესაძლებლობა ვიმუშაოთ პირდაპირი სახელშეკრულებო სამეურნეო ურთიერთობის საფუძველზე. ჯერჯერობით ეს ვერ მოგვიხერხებია, რაც სახმომარაგების ბრალია.

და კიდევ. რაკი თვითნაზღაურობაზე გადავდივართ, ოღონ უნდა გვიგეგმავდეს „ზემოდან“, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტიდან, თუ რამდენი პროცენტი ლითონი დავზოგოთ. აქ უფრო ეფექტიანი ხარჯსაწინააღმდეგო მეთოდია საჭირო.

რაც შეეხება საწარმოს შესახებ კანონს, მისი მიღებისას უნდა იხახოს ის აქტებიც, რომლებიც დღეს არსებობს. ანუ — უნდა შეეუხამოთ ისინი საწარმოს კანონს.

მ. ს. გორბაჩოვი: რა იქნება, დოკუმენტის დამტკიცებისას რომ დაგვემტვინა ერთი მუხლი: ყველაფერი, რაც კანონს ეწინააღმდეგება, ბათილად ჩაითვალოს?

მეც ასე მგონია, განაგრძო ი. ა. პესკოვმა, კანონს მიხედვით უნდა მოვთხოვოთ წარმოების ხელმძღვანელებს და კანონის მიხედვითვე უნდა ვენდობოდეთ მათ.

ადმინისტრაციულიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა მოითხოვს ნამდვილ რევოლუციას ადამიანთა გონებაში, თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზმ-კანის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა **ვ. ა. არბატოვმა.** და ეს რევოლუცია ჯერ არ მომხდარა. ჩვენ უნდა გადავხედოთ ზოგიერთ „სავლთო ძროხას“ და თამამად გავიმეტოთ, თუ გასამეტებელია. ერთი მათგანია ზრდის ტემპი. რაში გვჭირდება ეს მაჩვენებელი „სავლთო ძროხად“ რომ გადავაქციოთ? ჩვენ გაწარმოებთ ამერიკელებზე ორჯერ მეტ ფოლადს. ვაწარმოებთ მეტ ჩარხს, მეტ ცემენტს, მეტ ფიზსაცმელს. ჩვენში ოთხჯერ მეტია ძროხების სულადობა. მაგრამ ახლა მარტოოდენ ტემპი როდი გაჭირდება. მხოლოდ ინტენსიურ ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ გვექნება ზრდის ტემპი წმინდა სანი-ნთელი. დღესდღეობით ინტენსიური ტემპი, მხოლოდ იმათ რომ სჭირდება, ვინც მაჩვენებლებსა და პრემიებს ვერ შეელეკა.

ორატორმა აღნიშნა, რომ სამეურნეო ანგარიშის თვით უაღრესად შესანიშნავი სისტემა, თვითდაფინანსება, შეიძლება დაბუქსავდეს, თუ ფინანსები ახლანდელ მდგომარეობაში დარჩება. ფულმა ფული უნდა მოიგოს.

შეეხო რა საწარმოს შესახებ კანონის პროექტს, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაც უნდა კარგი იყოს ეს დოკუმენტი, იგი, რა თქმა უნდა, ვერ ამოქმედდება, თუ არ შეეცვლით გარემოს, რომელშიც იგი ამოქმედებს. საკითხი კომპლექსურად უნდა გადაწყდეს. და ამ თვალსაზრისით ძალიან კარგია, რომ ერთდროულად მზადდება კიდევ მთელი რიგი გადაწყვეტილებანი. მაგრამ ისინი კანონს არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ.

ორატორმა აღნიშნა, რომ მრეწველობაში შეიმჩნევა გიგანტომანიის ტენდენცია. მეტად მსჯელი საწარმოების მართვა რთული საქმეა. ამასთან დაკავშირებით ყოველთვის მიზანშეწონილი როდია გაერთიანებათა სამძლავრეების ზრდა, არადა საჭიროა ვიარით წვრილ საწარმოებთან კოოპერაციის ზგნთ. დასავლეთში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ახლა პატარა საწარმოების მეშვეობით მიმდინარეობს.

შეეხო რა ეკონომიკის მართვის სრულყოფის გზებს, გ. ა. არბატოვმა თქვა, რომ საჭიროა შემცირდეს სამინისტროების რიცხვი, მკვეთრად შეიკვეცოს მათი ფუნქციები. ორატორის აზრით, უნდა შეიცვალოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლიც. ჩვენ უეფექტო პროპორციებს ვადგენთ. მთელი სტრუქტურა მეტად ინერციულია. და ამ გზიდან გადახვევა მეტისმეტად ჭირს მართვის ცენტრალური ორგანოების პოზიციის გამო.

ორატორმა აღნიშნა, რომ ახალ პირობებში იზრდება მეტოქეობის როლი, რომელმაც საწარმოებს უნდა უბიძგოს სიახლეთა შემოღება. ნამდვილ, სწრაფ ეკონომიკურ პროგრესს ზეგადგომი ინსტიტუტები ვერ მიაღწევენ. ეს შეიძლება ჯანსაღი სოციალისტური კონკურენციის პირობებში. თავიდანვე რომელიმე საწარმოს ამა თუ იმ პროდუქციის მონოპოლია კი არ უნდა მივანიჭოთ, არამედ რამდენიმე საწარმოს მივცეთ შესაძლებლობა გამოსაცადოს თავისი ძალები და განსაზღვროს უკეთესი ნაწარმი საკონკურსო საფუძველზე.

ჩვენი დარგი, თქვა ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის მინისტრმა **ვ. ვ. ლუკიანენკომ,** ხუთი თვეა მუშაობს ექსპერიმენტის პირობებში. დრო დიდი არ არის, მაგრამ ამ პერიოდში რაღაც მაინც გამოიკვეთა. გეგიზიარებთ ზოგიერთ მოსაზრებას. დავიწყეთ საშუალო. რგოლის ხელმძღვანელთა ფართო სწავლებით. შევკრიბეთ ჯგუფური სემინარები, იქ გავეზიარეთ ზეგანიერი სპეციალისტები. შევიმუშავეთ მეთოდიკური მითითებანი, რომლებიც ოსტატების, საამქროთა უფროსების, ჭარხანათა დირექტორების თავისებური სამაგიდო წიგნები გახდა.

სამწუხაროდ, სუმის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გარდა არც ერთ საწარმოს არ წამოუყენებია წინადადებანი გეგმის მომატების თაობაზე.

მ. ს. გორბაჩოვი: ალბათ, უბრალოდ არ სჯერათ?

ჩვენ გვქონდა ნაგლინის შეუფონაყრელი გეგმა, თქვა ვ. ვ. ლუკიანენკომ. იგი არ ჰყოფნიდა ზოგიერთ საწარმოს იმისათვის, რომ გეგმის შესრულება უზრუნველეყო. ამიტომაც არავინ არ მოუმატა გეგმას.

თვითდაფინანსებაზე გადასვლის წინ გვეგონა, რომ ყველაფერი ვიღოხეთ და ფრიად დიდი მოსამზადებელი მუშაობაც გავწიეთ. მაგრამ, თურმე, ყველაფერი როდი გაგვიკეთებია. თებერვალში ვიყავი სვერდლოვსკის ოლქში — იქ რვა ქარხანა გვაქვს. გაესაუბრები მუშას, ოსტატს, საამქროს უფროსსა და დირექტორს. და თუმცა ჩემთვის სასიამოვნო როდია ამის თქმა, მაგრამ პრაქტიკულად ყოველ მეორე ხელმძღვანელს არაფერი გაეგებოდა ამ პრინციპებისა. ესე იგი, წაუკითხავს, მაგრამ ინჩი-ბინჩი ვერ გაუგია.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში, თქვა შემდეგ ორატორმა, მინიმუმი საწარმოები უნდა გვქონდეს, რომელთა მშენებლობა საჭიროა სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე. მინიც თავადვე უნდა გამოვიმუშაოთ სახსრები. ჩვენ დირექტორები უკვე აღარ გვთხოვენ: ესა და ეს მოგვეცი. პასუხი ერთი გვაქვს: გამოიმუშავე. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არიან ხელმძღვანელები, რომლებიც მოდიან და გვეუბნებიან: გვერჩიეთ, როგორ დავაღწიოთ თავი ამ მდგომარეობას. ესმით, რომ არა გვაქვს საამისო სახსრები, რომ მათი ცუდი მუშაობა დაეფაროთ. ესე იგი მექანიზმი მუშაობს სტილი, წარმოებისა და მართვის ორგანიზაცია. ვიზიარებ იმათ თვალსაზრისს, ვინც თქვა, ქვეყანაში ამდენი სამინისტრო რა საჭიროაო. ამა, შეხედეთ: საკვების დასამზადებელ მანქანებს ერთი მინისტრი უშვებს, საგზაო მანქანებს — მეორე, და ასე შემდეგ. ანდა, აიღეთ წარმოების ორგანიზაცია. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მაგალითად, შედარებით პატარ-პატარა 500 ჩარხსაშენებელი ფირმიდან მხოლოდ ორს აქვს საკუთარი სამსხმელო საამქრო. ჩვენში კი თითოეულს თავისი სამსხმელო საამქრო, თავისი მოდელი, თავისი ხე-ტყე, თავისი მექანიკური დამუშავება აქვს — ყველაფერი თავისი.

უნდა გავზარდოთ მეცნიერები, ინსტიტუტების, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. ჩვენში რაღაც შემწყნარებლური დამოკიდებულებაა ამ ორგანიზაციებისადმი. და ხელს ვერ ახლებენ იმის შიშით, ვაითუ რეტროგრადებად მოგვნათლონო.

ახლახან ჩვენი გაერთიანების შემადგენლობაში, თქვა შემდეგ ვ. პ. კაბაიძემ, შემოვიდა საინსტრუმენტო ქარხანა. ძალიან კარგი ანალი ქარხანაა, დირექტორი კი წუწუნებს — წარმოებაში ადამიანები არ მყოფნის, ისინი კი, ვინც ფუჭ მიმოწერაზე ძალებს ხარჯავს, თურმე, საკმარისად ჰყავს, და სკამიდან ვერ ააგდებ, და ფორმალურად საბაბიც აქვთ. ყოველი კონტროლიორი მოგა და შეაჩერებს წარმოებას: საჭირო ქაღალდები არ არისო.

ახლა საერთაშორისო გაერთიანებებს შევეხები. კარგი საქმეა. მაგრამ არის საკითხი, რომელიც ხელს გვიშლის და ხელს შეუშლის სხვებსაც, ვინც უნდა შექმნას ერთობლივი საწარმოები. ეს არის ფასწარმოქმნის საკითხი.

ვილაპარაკეს სამეურნეო ანგარიშზეც. თუკი მაგალითად, „რენოსაგან“ რამის ყიდვას ვაპირებთ, ნახაზებს უფასოდ არავინ არ მოგცემს, არ მოგცემენ ტექნოლოგიასაც. ჩვენი ნახაზებით კი ქვეყნის 15 საწარმო მუშაობს. პროდუქციას უშვებს. ამაში არაფერს გვაძლევენ. სხვა სამინისტროთა ქარხნები, რომლებიც ჩვენს ნახაზებს იყენებენ, მოვალენი არიან ჩვენს კონსტრუქტორებს ხუთი პროცენტი მაინც გადაუხადონ. ესეც თვითდაფინანსების ელემენტია. მათემატიკური უზრუნველყოფა — ეს მეცნიერებატევადი საქონელი — განსაკუთრებით დიდად უნდა დავაფასოთ.

